№ 101. 16 მაისი, შაბათი. 1866 - 1881 16 მაისი, შაბათი. № 101.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] მოკვრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ

**„დროება“**

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში — აგენტთან ი. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმები

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პარიჟი, 13 მაისს. მონრუჟში ადმოაჩინეს ქარხანა, რომელშიაც ასაფეთქ ყუმბარებს აკეთებდნენ; ამ საქმის თაობაზე სამი კაცია დატუსაღებული.

სოფია, 13 მაისს. ბოლგარიის მთავარმა ტელეგრამმით გამოუცხადა მინისტრ-პრეზიდენტს ის მუხლები და ცვლილება კონსტიტუციისა, რომელნიც, იმის აზრით, აუცილებელად საჭიროა ბოლგარიის რიგიანად გამგეობისათვის. მთავრის სიტყვით, ბოლგარიის წარმომადგენელთა კრებამ ეს მუხლები უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავს დაანებებს ბოლგარიის მთავრობას. პირველს მუხლში მოხსენებულია, მთავარს მიენიჭება შვიდის წლით უფლება, რომ ახალი დაწესებულება შემოიღოს ბოლგარიაში; მეორე მუხლის ძალით, მთავარს უფლება ეძლევა, შვიდის წლის განმავალობაში ბოლგარიის დიდი კრება მოიწვიოს და ამან შეადგინოს ახალი კონსტიტუცია.

ბოლგარიის მთავარმა ინახულა რუსის ელჩი ხიტროვო. ხვალ მთავარი სოფელში მიდის, ხიტროვოც თან წაჰყვება.

ლონდონი, 13 მაისს. ონტარიოს ტბაზე „ვიქტორია“ ხომალდი დაიღუპა. ამ დროს დაიღუპა 175 კაცი.

სოფია, 12 მაისს. ადრინდელი მინისტრი კარაველოვი დაატუსაღეს. სოფიაში, ვიდინოში, რუსჩუკში და ტირნოვოში „სამხედრო მდგომარეობა“ გამოაცხადეს. ოთხი დენერალი უჩვეულებრივო კამისრებად არიან დანიშნული.

ათინა, 12 მაისს. მომავალ კვირიდამ თავის ნებით გამოსულ ჯარის დათხოვნა დაიწყება.

ლონდონი, 12 მაისს. გრენვილმა ინახულა წარჩინებულ ებრაელების დეპუტაცია, რომელმანც შესჩივლა რუსის ებრაელების შევიწროებაზე. გრენვილმა უპასუხა: ვიცი, რომ უცხო სახელმწიფოებს არ მოსწონთ, როცა სხვები ერევიან იმათ შინაგან საქმეებში და ამიტომ მგონია, რომ ამ მხრით ჩვენი შუამდგომელობა რუსეთის წინაშე უადგილო იქნებაო.

## სამეურნეო სკოლის ადგილი.

ტფილისი, 15 მაისს.

ჩვენს გაზეთშიაც იყო ამას წინათ მოყვანილი, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან შემდგარი კამისია, რომელმანც ლოპინის სამეურნეო სკოლის მაგიერი სკოლისათვის ადგილი მოსძებნოს, იმ აზრზედ აპირებს დადგომასაო, რომ სოფ. კარდანახში გამართოს ეს სკოლაო. ორიოდე სიტყვა გვინდა ვსთქვათ ამ საგანზე.

მართალია, სოფ. კარდანახი სამაგალითო სამეურნეო სკოლის გასამართავად ძლიერ კარგი ადგილია: ეს თითქმის შუა ადგილია კახეთისა, რომელიც ღვინის დედა-ქვეყნად ითვლება; აქ მყოფი შაგირდები ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების გარდა, ისწავლიან პურის მუშაობას, ყოველგვარ ბოსტნეულებისა და ხილეულობის მოვლას, რადგან აქ ისეთი ჰავა და ნიადაგია, რომ ყველაფერი ადვილად და ბლომად მოვა, თუ კი მცოდნე და მეცადინე კაცი იქნება.

მაგრამ შუა კახეთში სამეურნეო სკოლის გამართვას ჯერ-ჯერობით, ჩვენის აზრით, ის დაბრკოლება აქვს, რომ ეს მხარე ერთობ დაშორებულია, ნის ქვეყნის დანარჩენ კუთხეებიერთობ განაპირაა ჩვედამ.

ამ გვარი სამეურნეო სამაგალითო სკოლა ისეთს ადგილს უნდა იყოს გამართული, რომ რაც შეიძლება ადვილად და დაუბრკოლებლად მოხერხდებოდეს ხალხისათვის იქ მისვლა-მოსვლა, ყველაფრის ნახვა, დათვალიერება და შესწავლა. ამას გარდა თვით შაგირდებისათვის მოხერხებული ადგილი უნდა იყოს.

კარდანახის სკოლა კი მარტო კახეთისათვის იქნება; უეჭველია, რომ იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სამურზაყანო ამ სკოლით თითქმის სრულიად ვერ ისარგებლებენ, ვერც თვითონ ამ მხარეების ხალხი ნახავს ამ სკოლასა, სიშორის გამო, და ვერც თავის შვილებს შეიყვანენ იქ.

ჩვენის აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, კამისიას ქართლში, რკინის გზის ნაპირა სადმე, მოეძებნა ზემოხსენებულ სკოლის გასამართავი ადგილი. ქართლი საქართველოის შუაგული ალაგია: აქ კახელიც მოიყვანს თავის შვილს, იმერელიც, მეგრელიც, გურულიც და სხვ.

«დროების» ფელეტონი, 16 მაისი.

* * *

(ა—ის)

ერთი მერცხლის შემოფრენით
არ იქნება გაზაფხული;
თუნდ მიიღო სიამოვნით,
თუნდ მიწუხდის სევდით გული...

ჯერ წინ გიჟი მარტი გვიძევს,
ცრუ აპრილი თან მოჰყვება,—
წამს იწვიმებს, წამს თოვლს ურევს,
წამს მზე ნისლით იბურება;

ქარიშხალი მილეწს, მოლეწს,
ხოხორს სუსხით მთლათ მოფშვნეტავს,
ხარს შტოებსა სულ ჩამოხევწს...
მის ნაყოფსა ვილა ნახავს?

გაზაფხულის ნიშნათ არის
ქუხილი და ხშირი გრგვინვა,
ცის-სარტყელა გადაეკვრის,—
ყველგანა სჩანს მსწრაფლი ელვა...

მაშინ დრო დროს მოაბრუნებს,
ნახავთ ტურფა გაზაფხულსა
და მრავალ-ფრად ააჰყვავებს
ამ შენ მამულს დაჩაგრულსა.

მაგრამ ჰბრძანე, ჩემო კარგო,
მებაღე კი გვყავს დამცველი?
ცხოვრების ხე თუნდა დარგო,
კაცი უნდა მას მომვლელი!..

იქნება კიდევ ვერ იცნობ
ქართველ მეურნე ერობას?
შენ ერთგულებით ვისაც ჰსძმობ,
თვით ის გიწევს კაენობას!

ედემის მზგავს შენს წალკოტსა
მხეცის გუნდი ახვევია...
არას გეტყვი ამის მეტსა,
ყველა მისი მთქვლეფელია...

ბარბარე ჯორჯაძისა.

## შეწუხებული ივრის ხეობა

გულ-მოსაკლავი, იქნება ზოგისათვის საწყენიც არის ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ დღეს ჩვენში ზოგიერთნი ცხოველებზედ მალლა ბევრით აღარა სდგას; ყველა ის გრძნობა და თვისება, რომელიც საზოგადოთ მაღლა აყენებს კაცს ცხოველებზედ, დღეს მათში არის დაბმული და დამონავებული, რომ სრულებით უსაფუძვლოთა რჩება ჩვენი თავ-მოყვარეობა...

ბევრი გლეხი მინახავს ჩაფრების ფეხ-ქვეშ სიკვდილამდის მიყვანილი რომ მოთმინებიდან არ გამოსულიყოს. შარშან, კალიის ბზრის დროს, იშვიათადა ჰნახავდა კაცი იმისთანა გლეხს, რომ მათრახებით ზურგი არა ჰქონოდა აჭრელებული; მაგრამ კაცობრიული თავ-მოყვარეობის ნიშანიც არსად გამოჩნდა. სოფელ საგარეჯოში დაუნდობელმა ყაზახებმა ორი კაცი ცემით მოკლეს; შედიოდნენ უკაცურ სახლებში, იკლებდნენ, ქალებს აუნამუსოებდნენ და კიდევ ვინ იცის რას შერებოდნენ და რას არა.

მაგრამ ეს დარჩეს. უმთავრესი მიზეზი, რომელმაც მე ამაღებინა კალამი, გახლავთ დამოკიდებულება ჩვენი ხეობის ქართველებსა და თათრებს შორის. აქედამ უფრო ბევრი შეწუხება და ჩაგვრა აიტანა ჩვენმა ხალხმა, მაგრამ, როგორცა სჩანს, მათი მოთმინების ტბაც მოყელყელავდა.

ბევრჯელა თქმულა ჩვენს ლიტერატურაში, რომ ის ცხოვრების პირობები, რომლებშიაც ჩადგა ჩვენი ხალხი ამ რამდენიმე ათეულ წლებში, სრულებით უადგილო და შეუფერებელი გამოდგა; ამ პირობებმა სრულებით წინააღმდეგი დანიშნულება მიიღეს და ხალხი აჩირებულის ჩქარის ნაბიჯით წავიდა უკან. ეს პირობები ჩვენ ხალხს შიგ გულში მოშხამულ ისარივით მოხვდნენ; მაგრამ სავანგებო და საოცარი ის არის, რომ ჩვენი მხრის თათრებმა იგინი სრულებით აიცილეს თავიდამ.

ორი სოფელი თათრებისა ქვეყნის დამლუპველი ყაჩაღი არის და ხმას არავინა სცემს. ისევ იმ ენა-სველს, ტანადს, ჯანიანს, შემთხვევაში გაიძვერას და შემთხვევაში გულადს თათარსა ვხედავთ, როგორებიც ჩვენ მამა-პაპას უნახავს; ისევ ის მოძრავი სახე ცხოვრებისა, განზედ დგომა საზოგადო თუ სახელმწიფო ინტერესებიდან, ისევ ის გაუნათლებლობა ველური წადილებით და კარგი ყაჩაღის — სისხლის-მსმელის იდეალით შეადვენენ მათ თვისებებს. ვერც ერთ ად-

იმას გარდა, რომ ქართლი შუაგული ადგილია ჩვენის ქვეყნისა, ჰავა და ბუნებაც ისეთია აქ, რომ ყოველფერი მოვა, რაც კი საქართველოს წარმოებას შეადგენს: ღვინო, პური, ქერი, ხილეული, ბოსტნეული და სხვ. არის მშვენიერი საბალახე ადგილები, მაშა სადამე რძის ყოველგვარ ნაწარმოების კეთებაც შეიძლება აქ, არის თვალ-უწვდენელი და ხელ-უხლებელი ტყეები, ბლომათ წყალი და სხ. და სხვ.

და ამნაირის პირობებით შეზავებულის ადგილის პოვნა ქართლში სრულებით ძნელი არ იყო, კამისიას რომ კარგად ეძებნა. მაგრამ ეს კამისია როგორღაც ერთობ სუსტი და საქმეში ერთობ მძიმე გამოდგა: ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც ის ამორჩეულია ამ საქმისათვის, ე. ი. სამეურნეო სკოლისათვის ადგილის მოსაძებნელად და დღემდის იმათ მოქმედებაზე სრულიად არ გაგონილარა. დღესაც თუ კარდანახზე ჰფიქრობენ, ესეც იმის წყალობით, რომ თვითონ ერთმა კარდანახელ მემამულემ თ. ნ. ჰ. ამატუნმა—მისცა იმათ წინადადება, რომ ჩემს მამულში გამართეთ სკოლაო!..

იმედი გვაქვს, ჩვენს აზრს არავინ ისე არ გაიგებს, ვითომც ჩვენ კახეთში სამეურნეო სკოლის გახსნის წინაალმდეგი ვართ: ჩვენ მხოლოთ იმას ვამბობთ, რომ ჯერ-ჯერობით, სანამ ჩვენ ერთის სამეურნეო სკოლის მეტს არ მოველით, სანამ მთელის საქართველოსთვის, სამწუხაროთ, მხოლოთ, ერთი ამგვარი სკოლა იქნება, ეს სკოლა იმისთანა ადგილას უნდა იყოს გამართული, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადა-სხვა კუთხეებს შეეძლოსთ იმით სარგებლობა.

## ქუთაისის ბანკის კრება

დასასრული მეშვიდე სხდომისა

აკაკი ადის კათედრაზე. როგორც წინად მისს სიტყვების წარმოთქმის დროს, ისე ახლაც სდუმდა აღელვებული კრება... ვინც ამდგარია არ ჯდება, ვინც დამჯდარია არ დგება, რომ მით სიჩუმე არ დაარღვიოს...

დარჩეს თუ არა სარგებლები—დაიწყო აკაკიმ,—ამაზედ ლაპარაკი აქ ცოტა არი შეუძლებელია. რადგანაც ვისაც ამ %% მოსპობა შეეხება აქ სხედან და იმდენი სულგრძელება ვერ გამოიჩინეს, რომ ერთის წამით მივეტოვებინეთ (ყველა გამგეობის წევრთ მიაცქერდა).. სიტყვა, რომ არ გაგვიგრძელდეს, შემდეგი კითხვით მოგმართავ: ვინმემ რომ სადილი გთხოვოსთ თქვენ აქამოთ და მან კიდევ შემოგეხვეწოს სადილს მომიმაცე, შემდეგ ვახშამს აღარ მოგთხოვო და მერე ვახშამიც შემოგევედროს — მოტყუილება იქნება ეს მისი მხრით თუ არა? ესეა გამგეობის საქმეც: როცა ჯამაგირის შემცირება გვინდოდა, მისი მომხრენი გვეჩურჩულებოდნენ „ჯამაგირს კი ნუ მოვაკლებთ, სარგებელი მოუსპოთო“. ახლა კი, როცა ჯამაგირები შეუმცირებლად დავტოვეთ გვეუბნებიან %%-ების ხელის ხლება როგორ შეიძლებაო! (ბრავო და ტაში).

— მოვსპოთ სარგებელი, მოესპოს! იძახის ერთი წილი.

— არა, არა, დარჩეს ისევ ის! ჰყვირიან დანარჩენები. რამდენიმე წამი გრძელდება ამ რიგი ძახილი და ყვირილი.

თავსმჯდომარე აცხადებს, რომ %% მოსპობა გამგეობის წევრთათვის წესდების 94 §-ის შეცვლა იქნებაო, და ამისთვის კრების ორი მესამედის ხმა არის საჭიროვო. მოსპობის მსურველნი ამბობენ, ორს მესამედზე მეტსაც სურს %%-ების მოსპობა, კენჭი რაღა საჭიროაო. „ორ მესამედს კი არა ერთ მესამედსაც არ უნდაო“—იძახიან მათი წინაალმდეგნი. გაიმართა ხელ-ახლავ ყვირილი „არა“ და „კი“.

თავსმჯდომარე თავისას იმეორებს და კენჭის-ყრის წინადადებას იძლევა. %%-ების მოსპობის მსურველნი არ თანხმდებიან ამაზე, უკენჭოთ სურთ კითხვის გარდაწყვეტა. მათი წინაალმდეგნი და თავსმჯდომარე არ უთმობენ. ბრაზ-მოსულნი კენჭოსნები შეცვივდნენ ზევით, სცენაზე და ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის სტოლებს გარს შემოერტყნენ მუქარით... მანდილოსნებმა გალლერეიაზე შეჰქნეს ჩოჩქოლი. სკანდალის ეშინიანთ. მოწინააღმდეგენი იარაღებს ათვალიერებენ... ზედამხედველ კომიტეტმა და გამგეობამ იხელთეს დრო და შეძვრენ კულისებში. ლოლაბერიძისტების ფალავან-წინამძღომელმა კოსტ. ჩიქვანმა თავის ფალავნებითურთ ძირს „ჩამოაბძანა“ სცენაზე შეცვივნულები... ნახევარი საათით სხდომა შეჩერდა. ჯგუფ-ჯგუფად დაიყო კრება; ყოველს ჯგუფში ბაასია გამართული... ერთმანეთს დესპანებს უგზავნიან: „შევთანხმდეთო“, მაგრამ ეს შეთანხმება ვერ მოახერხეს, ყველას ჰსურს თავისი გაიტანოს.

ბოლოს შეიქნა ძახილი:—ბატონო თავსმჯდომარევ, გამობრძანდი! კომიტეტო, მოდი! სხდომა განაგრძეთ, სხდომა!!

გამოვიდა თავსმჯდომარე და გარდაწყვეტილად გამოაცხადა, რომ უკენჭოთ ამ კითხვის გარდაწყვეტა შეუძლებელია, რადგანც ფინანსთ მინისტრს გარკვეულად უნდა მოხსენდეს იმ ორი მესამედის ან მეტის კენჭთა-რიცხვი, რომლითაც, თუ კი შეიცვალა, უნდა შეცვლილ-იქმნეს წესდების 94 §-იო.

— არა უკენჭოთ, ყველას სურს, ყველას!

— ბატონო, ორ მესამედს კი არა, ოთხ მესამედსაც უნდაო! დაიძახა ვიღაც ჭკუის კოლოფმა.

— კენჭი იყოს, კენჭი! იძახიან სხვები.

თავსმჯდომარე ხელ-ახლავ იმეორებს, რომ კენჭის-ყრა აუცილებლად საჭიროაო. კიდევ შეუცვივდენ თავსმჯდომარეს და კიდევ მოჰკურცხლა იმან; მიიწვია კულისებში დამალულნი დანარჩენი წევრნი ზედამხედველი კომიტეტისა ზევით, აქტიორების ჩასაცმელ ოთახში და იქ მოახდინა კომიტეტის უჩვეულებრივო სხდომა კითხვის გარდაწყვეტაზე მოსალაპარაკებლად.

— ალექსანდრე მაკედონელს სამხედრო რჩევა აქვს თავის სარდლებთანო! მასხრობს უ-თავს-მჯდომარეოდ დარჩენილი კრება.

ათიოდე წამი გაგრძელდა ალექსანდრე... ქუთათელის (და არა მაკედონელის) „რჩევა“ სარდლებისა მისსათანა, ე. ი. კომიტეტის წევრებთან. გარდაწყვიტეს „უკენჭოთ არამც-დაარამც არ დაეთმოს კრების სარგებლთა მოსპობის მსურველ ნაწილს წამოყენებულის კითხვის გარდაწყვეტაო“ და თუ საჭირო იქნება ამ გარდაწყვეტილების დასაცველად „ავაწიროთ კბილები და ზურგი ჩვენიო...“ გარდაწყვეტით კი ესე გარდაწყვიტეს, მაგრამ გამოცხადება არ უნდა ახლა? კომიტეტი ერთად გამოსვლას ვერ ბედავს და ცალ-ცალკე კიდევ უფრო... ბოლოს შეევედრენ კირილეს: შენ ოპპოზიციაში ითვლები, კაცი ხელს არ გახლებს, ღმერთმანი, შენ გახვიდოდე სჯობსო. ეს უკანასკნელიც დაეთანხმა მას, გავიდა და გამოაცხადა... ვაი ამ გამოცხადებას! შვიდას ორმოც-დათორმეტი კაცის ძახილით ძიგძიგებდა

---

გილზედ დააბეს ისინი, ვერც ხვნათესვას და ვერც მამულის შენებას შეაჩვიეს, ვერც სწავლა-განათლების სიყვარული გაუხსნეს; ამათ შეისწავლეს მხოლოდ რუსული კანონები, რამდენათაც ეს კანონები საჭიროა ყაჩაღისათვის.

ამ გვარათ, ჩვენ ხეობაში არიან შეყრილნი ორი ხალხი სრულებით წინაალმდეგი ხასიათისანი, რომელთ შუა აუცილებელია ბრძოლა და მომრიგებელი კი არავინა ჰყავთ. ერთი ყოველიფრით შემკობილი ყაჩაღი და მეორე კა სრულებით უძლური, ღონე-მიხდილი და სხვისა შემაყურალი და თუ იმასაც დაუმატებთ, რომ მათ ხელებ-აბყრობით მკვდრებს არავინა ჰყავს ნუგეშის მიმცემი და მომტირალს არავინა ჰყავს თვალზედ ცრემლი გაუშროს, მაშინ წარმოვიდგენთ, მის მდგომარეობას.

აგერ ამოვიდა სოფელში ხმა, მავანსა და მავანსა გუთნეული ხარი დასტაცესო, მავანს ყევარიო, მავანის და მავანის ძროხის ან ცხვრის ბინაზედ დაესხნენ ათი-თუთხმეტი შეიარაღებული თათრებიო, დასტაცეს ცხვარი ან ძროხაო, ან კიდენ: მწყემსებმა არ დაუთმესო, ასტყდა თოფის სროლაო, ამდენი მოკვდაო, ამდენი დაიჭრაო და სხ.

ყოველ გაზაფხულზედ მთაში წასვლამდის და შემოდგომაზედ ზამთრამდის ამ გვარი ამბები ისმის ზედი-ზედ. გაზაფხულზედ აიკლებენ ჩვენ მხარეს და ქიზიყს, ზაფხულში თრიალეთში მიდიან, იქ ნადავლევს ვაასაღებენ და იქიდამ სხვა ნადავლეეით ბრუნდებიან უკან. სრულებით უსაქონლოთ ვაჭარი ხალხივით აჰყვებიან საქონელს თრიალეთში და თანვე ჩამოჰყვებიან და დაშლა არა გვარი არა აქვთ. ესენიც ისევე კანონიერ ნიადაგზედ დგანან, როგორზედაც ვაჭრები.

დილას შევიტყე, რომ წუხელ თათრებს ორი ტყვიით ერთი კარგი გარეჯილი ვაჟი-კაცი მოუკლავთ, რადგანაც იმას ცოტა არ იყოს ხელი შეუბრუნებია, როდესაც საქონელსა სტაცებდენ, და ის დაუნდობლები ისე არხეინათ წავიდნენ, თითქო არაფერიც რა დაეშავებინოთ.

იმის ასახსნელათ, თუ როგორ ადვილათ ახერხებენ თათრები ქურდობას, მოვიყვან შემდეგ მაგალითს: ერთ ჩემ ნათესავს მოჰპარეს რამდენიმე სული ძროხა. იმან გასწია პირ-და-პირ და მიჰმართა პირველ ყაჩაღლამ თათარს, შეაძლია ფული, რომ სხვა მხარეს გარეკას და იაფათ გაყიდვას ისევ პატრონს დაუბრუნოს. თათარმა დაინახა, რომ კარგი ცხენი ჰყავანდა და უთხრა:—ეგ ცხენი მომეცი, ეხლავ მინდორს მოვივლი და შენ საქონელს მოგილალამო. შეჯდა თათარი ცხენზედ, გააქანა ერთ სოფელში და მოიპარა სამი ულელი ხარი, გააქანა მეორეში და მოიპარა ყევარი, გააქანა მესამეში და კიდევ მოიპარა; მაგრამ გზაზედ გაუთენდა და დააყრევინეს. ოცხალ-მკვდარი ცხენი დილით მიუგდო პატრონს, ერთი პანღურიც ამოუსო და ცარიელი გამოისტუმრა შინათკენ.

რას შვრება ამ გვარათ შეწუხებული ჩვენი ხალხი? ჩივილით რომ ვერახდება რა ისევ რჩეობს მიჰმართოს თათრის უგრძნობელ გულს, რომ ნახევარ ფასათ მაინც დაიბრუნოს თავისი საქონელი.

როგორც ხედავთ, მკითხველო, ბარბაროსობა და პირ-და-პირი ცარცვაც ისევე ლამაზად გადის ჩვენ ცხოვრებაში, როგორც რბილი მცარცველობა.

ამ წინაზედ პატარძეულელებს დაჰპარეს თათრებმა სამი ულელი ხარი, პრისტავი მდევარით დაედევნა; მაგრამ თათრებმა დაუშინეს ქვა და ერთ მდევართაგანს, დანაკარგის პატრონს, პრისტავს თვალ-წინ ქვით გაუტეხეს თავი. ის წავიდა თბილისის მომრიგებელ სასამართლოში და იჩივლა გამომეძიებელთან მაგრამ მისგან კმაყოფილობა ვერ მიიღორა და გაანება თავი საჩივარს. თათრები ხომ ყოველ შემთხვევაში თავზედ აყრიან ფულს მათთვის საჭირო კაცებს...

(დასასრული შემდეგ №-ში.)

ხარაზაშვილის თეატრის ისედაც სუსტი კედლები... მათ ბაგეთაგან ამონასროლი „არ გვინდა კენჭი!“ და „კენჭი იყოს“ გარკვეულად ისმოდა სოზოროს ბოლოს უკმაყოფილები დაილალნენ კარებთან ყვირილით და დათანხმდნენ კენჭზე. კირილე შევიდა და ახარა. გამოხოხორიკდა თავ-მჯდომარე; მკვდრის ფერი-აკრავს სახეზე, მთლად ძაგძაგებს... გადაავლო თვალი კრებას და დაინახა რომ, სანამ მას რჩევა ჰქონებია, ნახევარზე მეტი დარბაზი დაცლილა.

„ერთობ ცოტა წევრებია, ახლა არ შეიძლება კენჭის ყრაო!“ გამოცხადა მხნე ალექსანდრემ. მერიჰა, ეს რასაგავს? ბატონო თავსმჯდომარევ, კენჭი, კენჭი თორემ... და მუქარით მიიწევიან სცენისაკენ... მათ წინ უხვდებიან მოპირდაპირენი...

— მოითმინეთ, სად მიდიხართ?

— სად მივდივართ ის ჩვენ ვიცით, გზა!

— მოითმინეთ, მოითმინეთ! განა არ იცით, რომ დღეს ეს საქმე ვერ გადაწყდება?

ყველას თუ სურს, კი შეიძლება!

— ყველას არ სურს!

— კი სურს!

— არა!!

— კი!..

ამ დროს კვლავ გაძვრა თავსმჯდომარე და აცნობა სარდლებსა თვისსა და გამგეობას „ცუდად არს მდგომარეობა საქმისა ჩვენისაო“!

კომიტეტმა, კირილეს გარდა, და გამგეობამ მიაშურა უკანა კარებს, გადახდენ კიბეს (ღვთის წყალობით არა ულრძვიათ-რა), ჩახდენ ფაეტონებში და აბა ჰა სახლებისკენ... დარბაზში უძახიან თავსმჯდომარეს... ჯერ არ იციან თუ გაიპარა. არ გაუშვათ, ბიჭებო, უკანა კარებზე დადექითო! იძახიან ოპოზიციის ჩხუბის თავები, და გაეშურნენ უკანა კარებისკენ. მათ გაჰყვნენ მათი მოპირდაპირენი და ერთად დადგნენ კარებთან. იცდიან.

ბოლოს შეიტყვეს ნამდვილი ამბავი. დაბრუნდნენ დარბაზში და დანარჩენს რჩევას ეკითხებიან. ზოგიერთებმა წარმოსთქვეს... ჰოი საშინელებავ!

ახალი ზედამხედველი კომიტეტი ამოვირჩიოთ, მან თავის შორის ამოირჩიოს თავსმჯდომარე და სხდომა განვაგრძოთო!!

საქმე რასაკვირველია ამ რიგ აბსურდამდი არ მისულა, მაგრამ მაინც სამწუხაროა რომ ამისთანა ჰაზრი იმ გვარ კაცთაგან წარმოითქვა, რომელთაგან უფრო უკეთესს რამეს ველოდით...

კრება დაიშალა მეექვსე საათზე.

## ახალი ამბები.

გუშინ, საღამოს მეშვიდე საათზე ჩამობრძანდა ჩვენს ქალაქში კავკასიის მთავარ-მმართებელი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე.

* * *

გრაფ ლორის-მელიქოვთან გაგზავნილის ქალაქის რჩევის ადრესის პასუხად ქალაქის თავს მოუვიდა პეტერბურღიდამ ამბავი, რომ გრაფი ამ ჟამად სამზღვარ გარეთ წავიდაო, რამდენსამე დღეს დრეზდენში დაჰყოფს და შემდეგ ბადენ-ბადენში დარჩებაო.

* * *

ეს მეხუთე დღეა, რაც ჩვენ ქალაქში იყიდება ახალი პური, რომელიც ქალაქის ხარჯით გამართულს ახალის სისტემის ფურნეში ცხვება. ამ პურის ცხობა მელქუმოვს, სტოცკის და რაკინტს აქვსთ იჯარით აღებული.

ხალხი იტაცებს ამ პურს, რადგან ნახევარ კაპეიკ ნაკლებ იყიდება და განსაკუთრებით ყირველი ხარისხის (სორტის) პური, 5 კაპეიკიანი, კარგათ გამომცხვარიც არის და გემრიელიც. მაგრამ მეორე ხარისხის, $3^1/_2$ კაპეიკიანი, კი გუშინ და გუშინწინ თითქმის სრულებით უმი იყო და არ იჭმებოდა.

საჭიროა, რომ ქალაქის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას, თვარემ ხალხი დაფთხება და სულაც აღარ მიიკარებს ამ პურს. კაცი უნდა იყოს ფურნეში დაყენებული და ყური უგდოს, რომ გამომცხვარი პური გასასყიდლად არ გამოიტანონ.

ეს ახალი პური ამ ჟამად მეწვრილმალის დუქნებში ისყიდება თითქმის მთელს ქალაქში, ყველა უბნებში. შემდეგში კი ქალაქი ბუტკებისათვის ადგილს მისცემს კამპანიას და იქ გაიყიდება.

* * *

რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ, რადგან მესოპოტამიაში შავი ჭირი თან-და-თან ვრცელდება, ამის გამო კავკასიის მთავრობა კარანტინს მართავს ზღვით და ხმელეთით, რომ ამ ქვეყანაშიაც არ გავრცელდეს ეს საშინელი ავათმყოფობა, და ამ განზრახვით 15,000 მანეთი შემწეობა ითხოვა სახელმწიფო ხაზინიდამაო. განსაკუთრებით სასტიკი კარანტინი ბათუმში იქნება. ამას გარდა ჭაბას კავკასიიდამ აღარავის უშვებენო.

* * *

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ერთი მასწავლებელთაგანი იქაურ სამოქალაქო სკოლისა ბ. ი—ი მუდამ ადგილ-მამულების დავაში, სასამართლოებშია გართული და ამის გამო თავის პირ-და-პირ მოვალეობას რიგიანად ვერ ასრულებსო.

* * *

ზაქათალის მაზრიდამ გაზ. „კავკაზში“ იწერებიან, რომ აქითაც გაჩნდა კალია, გამოჩეკა დაიწყო კვერცხებიდამაო. ადგილობრივ ადმინისტრაციას ხალხი დაუყენებია ამ კალიის მუშაობაზე.

* * *

დაღესტნისკენაც გამოჩენილა კალია, განსაკუთრებით ბლომათ თემირ-ხან-შურისაკენ. აქაც ადმინისტრაცია ენერგიულად მოქმედებს ამ მავნებელ მტრის გასაწყვეტათ.

* * *

გაზეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ ერთი იმგვარი გასაოცარი მცირე წლოვანი მათემატიკოსი, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, სომხებსაც გამოსჩენიათ. თფილისის სომხის ნერსესიან სემინარიაში, პირველ კლასში სწავლობსო ცხრა წლის ყმაწვილი არშაკ ტერ-სარქისიანი, რომელმანც მშვენივრად იცისო ფიზიკა, ესმისო ქიმია, ბოტანიკა და ზოოლოგია; ელექტრონის კანონები იმათ უკეთ იცის, ვინემ უფროს კლასის შეგირდებმაო. ეს არშაკა სულ თვითონ თვით სწავლობდა და ხშირად ძმა უჯავრდებოდა, წიგნებს ართმევდაო, რომ სისულელეებს ჰკითხულობო; მაგრამ იმდენს იტირებდა არშაკიო, რომ ძმა იძულებული იყო დაებრუნებინა იმისთვის წართმეული წიგნებიო...

## „დროების“ კორრესპონდენციები

დ. ხონი, 8 მაისი. მშვენიერი მდებარეობა უჭირავს დაბა ხონს. კარგი ჰავა, კარგი წყალი, ბლომათ ხეები, ერთი სიტყვით მორთულ კოპწია პატარ-ძალსა ჰგავს.

ამასთანავე სუფთაც არის ჩვენი დაბა. იმდენი ასსენიზატორები, რაც ხონს ახვევია, მგონი, სიზმარშიაც ვერ ენახა შარშანდელ დამასუფთავებელ საზოგადოებას, რომელი პირ-უტყვების პატივს უწყალოდ აქრობდა დედამიწის ზურგიდგან. ეს ასსენიზატორები გახლავან ჩვენი ღრუტუნა არსებანი, რომელნიც გაუწყვეტლივ დადიან ქუჩებში. ამ უკანასკნელ დროში მაინც ისე გამრავლდა ამ არსებათა რიცხვი, რომ სწორეთ საშიშს მდგომარეობაში ვიყავით! მხუმრებით, ამათ რომ პირი-პირს მიეცათ და თანხმობა ჰქონოდათ, თქვენი მტერი-მთელს ხონს აქამდის იერიშით აღებდნენ! საუცხოვო სანახავ სურათს წარმოუდგენს მაყურებელს ამ ღრუტუნაების გუნდის სეირნობა ქუჩებში.

ამ გარეგანს მშვენიერ სურათს ხონისას მიუმატეთ ხონის ვაჭრები. საშინელი კეთილ-შობილური ვაჭრობა ახვევია ხონს: აც ერთი ვაჭარი არ გეტყვის მართალს, ერთის პირიდგან ვერ გაიგონებ გულ-წრფელს სიტყვას; რჩევას სთხოვე, ისე დაგარიგებენ, რომ ორთავე ფეხს მოგატეხინებენ, საქონლის ყიდვაში ერთი სამათ მეტს გამოგართმევენ ღირებულ ფასზედ, ერთი მეორეს უყურებს, როდის დაიღუპება, როდის გაკოტრდებაო, ერთმანეთში შური, უთანხმოება, გაუტანლობა, ცილის-წამება.

ხონის ვაჭრების გარდა, ვინც ხონში სცხოვრობს, ყველა „ინტელეგენციაში“ სდებენ თავსა,—„განათლებულები ვართო.“ განსაკუთრებით აქაური ჩინოვნიკები ამაყობენ: ვინაც ქუდზე კაკარდა მიუკრავს, ისე ამაყად დაიარება, თითქო ყარსი იმან აიღოვო!

როგორც იმერელის ხასიათი მოგეხსენებათ, საშინელი პარტიაობა არის აქა, განსაკუთრებით ქალებში. სამი სახლის ქალები ერთს პარტიას შეადგენენ და სხვა პარტიის ქალებზე ბაასობენ: ის ასეთია, ეს ამისთანაა, იმან ასე ჰქნა, ამან ასე და სხვ. საშინლად უყვართ აქაურ ქალებს უცხო ენებზე ლაპარაკი! რუსული და ფრანცუზული წყალივით იციან. რუსულიდგან: „ნეუქელი“ და ფრანცუზულიდგან: „მერსი, მუსიო და პარდონ“. ამ ბოლო ხანებში ესეც კი შემოიღეს: „პროტექცია გამიკეთეო“, ე. ი. გამაცანიო, ან რეკომენდაცია გამიკეთეო.

ბედნიერი იქნება მომავალი საოსტატო სემინარია ხონში თვითონ ხონელებიც ბედნიერნი იქნებიან სემინარიით: ეს ისეთი სახრავი ლუკმა იქნება ამათთვის, რომ, მოდი, ნუ იქნებიან ბედნიერები!! ახლავე ანგარიშში არიან: ვინ სასტუმრო გააკეთოს, ვინ სასმელების რესტორაციები და ვინ საყასბოები. აი ამისთვის ცდილობენ ხონელები, რომ საოსტატო სემინარია აქ იყოს. სურვილი და წრფელი ლტოლვილება საზოგადო საქმისადმი, სიყვარული საზოგადო განათლებისა რა ამათი საქმეა.

ხონი ერთი-ორათ გამშვენიერდა მას შემდეგ, რაც აქაურებს შემოესივნენ ფერშლები და ადვოკატები. საუბედუროდ, კარგი ფერშლები ბევრნი არ არიან: ერთია. ამას დღემდინ კარგი პატივი და შემოსავალიც ჰქონდა. მაგრამ დახე მაგის ბედს. ხონში დოქტორი მოვიდა ბ. ბერნო, და ჩან ლუკმა საბრალო ფერშალს პირიდამ გამოაცალა!

ეს ჩვენი აფთიაქარიც საკვირველი კაცია: მთელი რუსეთი შემოიარა, ბუზს თავზე არ ისვამს; ჩვენი სოფლის მწერალივით ცხვირი მაღლა მიაქვს და ის კი არ ესმის—თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის აფთიაქს იმისთანა ადგილას, როგორც ხონი, თუ იგი პატიოსანი კაცის ხელში იქნება. საუბედუროთ, ამ აფთიაქარს ხშირად ვნება მოაქვს ხალხისათვის, რადგან ხშირად უმეცარ, ხალხის-მატყუარა კაცების „რეცეპტით“ იძლევა წამალს. თუ მეცნიერებიდგან არ გაუგონია, რომ ყოველი პატიოსანი კაცი მოვალეა დაიცვას თვისი მოძმეო, სახარების სიტყვებით მაინც იხელმძღვანელოს: „შეიბრალეთ, რათა შებრალებულ იქმნეთ!“ მაგრამ ესეც ხონის განათლებას მისდევს: „საცა მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო!“

რაც ზევით მოგახსენეთ, საცა ამდენი არეულ-დარეულობა იქნება, იქ ადვოკატების ბედია! გაგვიჭირეს საქმე! იმდენი ადვოკატებია ხონში, რომ

ქუჩებში გზას ვერ აუქცევ. სიზვერის გამო, ძალიან გაიაფეს ხელობა: ორ სტაქან პილოტეს ცრემლით ლეკურ ბუქნას ათამაშებ ხონელ ადვოკატს...

ხონელი.

## ტფილისის სამკურნალო.

ავათმყოფებს მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ქალის ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გოროდკევიჩი და ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაზაევი სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი — ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიშნარიანცი და შტემბორსკი — რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი — ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ.; ბაზაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიშნარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობის; ბასუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიმოვი და ვერმიშოვი — შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბაზაევი — ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიშნარიანცი 2-რე — ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიზებს საავათმყოფოს ბარათებით.

## განცხადებანი

ჩარკვიანის და ამხ.

### წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს კონტინიცის პირ-და-პირ № 15. 5—3

ნამდვილი პირველი სორტის ხიზილალა ბოქი პრომისლისა ფინოევის და კამ. ნაყიდი რომლის წინათ ექვს აბაზათ იყიდებოდა, ახლა ოთხ აბაზათ ვყიდით მუაბაზარში, ოქრომჭედლების პირ-და-პირ ბეგლარ ქოჩოროვის დუქანში მეორე სორტის ხიზილალა იქვე სამ აბაზად ისყიდება. (3—2)

თფილისის ქალაქის

## გამგეობისაგან.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მაისის 22-ს იმის თან-დასწრებით, ქალაქის გამგეობის კანცელარიაში იქნება ვაჭრობა (ტორგი) საწონის გარდასახადს იჯარით გაცემაზედ.

ვისაც დაწვრილებითი პირობების (კონდიციების) შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. (3—2)

## დავითიანი

თხზულება

დავით გურამის-შვილისა

(ძველი მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზალდიკანოვისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

ფასი ერთი მანეთი.

ისყიდება: ტფილისში გ. ჩარკვიანის და მრიქულოვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ივერიის" თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ვინც ასს წიგნს დაიბარებს ოვით გამომცემლისაგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც ორმოც-დაათს — 15%. ადრესი — სტამბა ხელაძისა. (5—5)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ადამ-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და აღადგენს ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან.. გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სნოდგები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—87)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძალიან კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ. — 40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადის და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—63

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემხევინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურავების გასასყიდლად განფეტების და ბატრიკის და კამბ. — ტურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკაჩას იგარები. (100—63)

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიადნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—64)

გამოვიდა „დრო არის საქმეს შეუდგეთ" თხზულება ქრისტეფორე მამაცაშვილისა და „ვაი მართალთა!" თხზულება ანტონ ფურცელაძისა, რომელნიც ისყიდებიან: ტფილისს, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და მრიქულოვის წიგნის მაღაზიაში; გორს მარიამ ქერესელიძის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში და თელავს ხორკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური. (5—2)

## ტფილისის სადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „მმართებლობას კანონთა და განკარგულებათა კრების" № 32-ში დაბეჭდილის ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის წესდების საფუძვლით, ამ ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს:

1) მოსპობილის სესხის გაცემა და გირავოს ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უკვე გამოცემულ გირაოს ფურცლების შესახებ დაცული იქნება ის წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების უძრავ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: ტფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის სამხედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირაოს ფურცლებით, რომლის თავდები და პასუხის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54\frac{1}{2}$ და $43\frac{1}{2}$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით — $27\frac{1}{2}$ წლით და აგრეთვე 18 წლით და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი პროცენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $\frac{2}{3}$% სათადარიგო და უწყვეტლობრივო თანხის შესადგენად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში — $\frac{1}{8}$% პროცენტი აღებულის სესხისა, $43\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში — $\frac{1}{4}$%, $27\frac{1}{2}$ წლის ვალში — $\frac{3}{4}$% და 18 წლით და 7 თვით აღებულს ვალში — $1\frac{1}{2}$%.

5) ვისაც ჰსურს ბანკიდამ სესხი აიღოს, ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის, ბ) ადგილის პლანი, თუ აქვს, გ) დაწვრილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი ჰსურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის პოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ცეცხლის საზღვაველ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასათვალიერებელი ხარჯი: ქალაქის მამულებისათვის — 1% და სოფლის მამულებისათვის $\frac{3}{4}$% პროცენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს. (10—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Маія 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.